

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2014 წლის მარტის
N ბრძანებულებით
დანართი N3

**საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვისა და
სამხედრო აღმშენებლობის საკითხთა დეპარტამენტის
დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს (შემდგომი - საბჭო) აპარატის (შემდგომი - აპარატი) თავდაცვისა და სამხედრო აღმშენებლობის საკითხთა დეპარტამენტი (შემდგომი - დეპარტამენტი) არის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლის ქვეყნის თავდაცვისა და სამხედრო აღმშენებლობის სფეროში მიმდინარე მოვლენებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

2. დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულება, ეს დებულება და საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის ეროვნული უშიშროების საკითხებში-ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის სამართლებრივი აქტები;

3. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის (შემდეგში - პრეზიდენტი) თანაშემწის ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის (შემდეგში - საბჭოს მდივანი) წინაშე.

მუხლი 2. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

დეპარტამენტი:

დეპარტამენტი:

ა) შეისწავლის თავდაცვისა და სამხედრო აღმშენებლობის სფეროში მიმდინარე მოვლენებს და საბჭოსთვის წარსადგენად შეიმუშავებს რეკომენდაციებს;

ბ) შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით განიხილავს თავდაცვისა და სამხედრო აღმშენებლობის სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებს და ამავე სფეროში დაგეგმილ პროექტებსა და პროგრამებს;

გ) ახორციელებს საბჭოს მდივნის ინფორმაციულ უზრუნველყოფას თავდაცვისა და სამხედრო აღმშენებლობის სფეროში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით;

დ) შეისწავლის პრეზიდენტის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ სამხედრო თანამდებობებზე დანიშნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან, უმაღლესი სამხედრო და სპეციალური წოდებების მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;

ე) განიხილავს თავდაცვის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მიმართვებსა და წერილებს საბჭოს მდივნისათვის წარსადგენად;

ვ) მონაწილეობს სამხედრო ძალების საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის საკითხების განხილვაში;

ზ) თავდაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის შესახებ საბჭოსათვის წარსადგენად;

თ) საკუთარი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების მიზნით თავდაცვის სამინისტროდან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან გამოითხოვს და იღებს საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტებს.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის დირექტორი, რომელსაც პრეზიდენტის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საბჭოს მდივანი.

2. დეპარტამენტის დირექტორი ანგარიშვალდებულია საბჭოს მდივნის წინაშე.

3. დეპარტამენტი შედგება მრჩევლებისაგან, რომლებიც ასრულებენ ამ დებულებით გათვალისწინებულ ფუნქციებს და მათი განხორციელებისას ანგარიშვალდებული არიან დეპარტამენტის დირექტორისა და საბჭოს მდივნის წინაშე.

4. დეპარტამენტის მრჩევლებს პრეზიდენტის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საბჭოს მდივანი.

მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტის დირექტორი:

ა) წარმოადგენს და წარმართავს დეპარტამენტს; კოორდინაციას უწევს თანამშრომელთა საქმიანობას;

ბ) ახორციელებს ღონისძიებებს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნების, საქართველოს კანონებისა და პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების შესასრულებლად;

გ) საბჭოს მდივანს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ კორესპონდენციას;

ე) უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებიდან საინფორმაციო მასალები და დოკუმენტები;

ვ) საბჭოს მდივანს ახარებს ანგარიშს დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ;

ზ) პასუხს აგებს დეპარტამენტისათვის გადაცემული სახელმწიფო ქონებისა და ფინანსური სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის;

თ) დადგენილი წესით ასრულებს საბჭოს მდივნისა და მისი მოადგილეების ცალკეულ დავალებებს.

2. დეპარტამენტის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას საბჭოს მდივნის დავალებით ახორციელებს დეპარტამენტის ერთ-ერთი თანამშრომელი.